უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№8 (51) 2015

უნივერსიტეტის „ეკო დესპანები“

მიმდინარე გაფხულს "თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა“ და „თსუ ეკო-კლუბმა“ ახალი პროექტი - “ეკო დესპანი“ დაიწყეს. შეგახსენებთ, „დესპანი“ „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ერთ-ერთი, საკმაოდ წარმატებული პროექტია, რომელიც უკვე ოთხი წელია ხორციელდება. მისი მეშვეობით სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები საქართველოს მასშტაბით რაიონების სკოლებში სტუმრობენ და სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს და სხვებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საინტერესო და ნაკლებად ოფიციალური კუთხით წარუდგენენ. პარალელურად კი მოსწავლეების ინტერესების და მისწრაფებების შესახებ უფრო მეტს იგებენ.

„ეკო დესპანის'' მიზანი ძირითადად უკვე რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის გარემოსდაცვითი პრინციპების და მიდგომების გაცნობაა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის 30-მდე სტუდენტი ადგილობრივ მოსახლეობას ეკოლოგიური კუთხით მათ რეგიონში არსებულ პრობლემზე ესაუბრება. არსებული პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა გარემოსდაცვით სამუალებას გააცნობს და თავის მხრივ, რეგიონში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე შეკრებს და შეავსებს ინფორმაციას. საამისოდ, სტუდენტებს გეოგრაფიის პროფესორის, თსუ „ეკო კლუბის“ ხელმძღვანელ გიორგი დვალაშვილის მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარი დაეხმარებათ.

„ეკო-დესპანობის“ მსურველ სტუდენტებს ელექტრონული რეგისტრაციის საშუალება 1

გაგრძელება მე-2 გვ.

„ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი“ თსუ-ში

2015 წლის ივლისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის – „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის“ გამოცემა დაიწყო.პირველი ნომრის პრეზენტაციისადმი მიძღვნილ ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ დოლბაია, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

„რამდენიმე თვეა ამ ჟურნალის შექმნაზე ვმუშაობთ და შედეგს მგონია რომ მივაღ-

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ გეოგრაფები ტურისტებისათვის საინტერესო რუკაზე მუშაობენ



თსუ გეოგრაფების მიერ მომზადებული ხარაგაულის რუკის სამუშაო ვერსია

როგორც გეოგრაფები, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აცხადებენ, საკმაოდ ხშირად უცხო ქვეყნის დათვალიერებისას ტურისტებისთვის კულტურის ძეგლებზე არა ნაკლებ საინტერესო, ბუნებრივი ღირშესანიშნაობებია. ისეთი, როგორიც მაგალითად წყალტუბოში მდებარე პრომეთეს მღვიმე ან მარგვილის კანიონია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფებმა თვეზე მეტია რაც ახალ პროექტზე დაიწყეს მუშაობა. იგი ფაკულტეტზე მიზნობრივი, სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ფარგლებში ხორციელდება. პროექტის სახელია – „მდინარე რიონის აუზის, ენდოგენური პროცესებით შექმნილი ბუნების ძეგლები“. მის ფარგლებში გეოგრაფებმა სამეგრელოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ ღირშესანიშნაობათა რუკა უნდა შექმნან, რომლებიც ტურისტული თვალსაზრისით იქნება საინტერესო.

როგორც პროექტის ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი, გიორგი დვალაშვილი აცხადებს, „ინფორმაციის სახით რუკაზე დაგანილი იქნება ენდოგენური პროცესების შექმნილი ბუნების ძეგლების შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია. კერძოდ, მონაცემები იმის შესახებ, თუ რითია კონკრეტული ობიექტი საინტერესო, რა მანძილითაა დაშორებული იგი მუნიციპალური ცენტრიდან და თბილისიდან, რა სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან, რა ტიპისაა (საავტომობილო, საფეხსნო თუ საცალფეხო), ამ ობიექტამდე მისასვლელი გზა და ა.შ. თავისი სამუშაოებს პროცესში

გაგრძელება მე-2 გვ.

ცნობილი სახელმძღვანელოები უკვე ქართულ ენაზე

ეკონომიკის მიმართულების სტუდენტებს და მეცნიერებს რამდენიმე მნიშვნელოვანი, დასავლეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ქართულად გაცნობის საშუალება მიეცემათ.

30 ივნისს თსუ-ში ორი წიგნის ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა, ესენია: რაინერ კლუმპი, ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები, თსუ გამომცემლობა, თბ., 2015. გიუნტერ ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს, თსუ გამომცემლობა, თბ., 2015. დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში აპრობირებული ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელოს „ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები“, ავტორია ცნობილი გერმანელი მეცნიერი, მაინის ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ამჟამად ლუქსემბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორი რაინერ კლუმპი.

გაგრძელება მე-3 გვ.

კონკურსის „თაობა L“ გამარჯვებული ცნობილია

გვ. 4

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ხელმძღვანელობის პროტესტმა შედეგი გამოიღო. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, თბილისის მერიამ და ბიზნესის წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, უნივერისტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის, რაც მთავარია, სტუდენტების არაერთი განცხადება და თსუ მეათე (მაღლივი) კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის ნაცვლად მრავალფუნქციური კომპლექსი აშენდება. მრავალფუნქციურ კომპლექსში განთავსდება საცხოვრებელი ბინები და კომერციული დაწესებულებები, რასაც უნივერსიტეტი მიესალმება. როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ, სადაც ორი სასწავლო კორპუსის გარდა, განთავსებულია ბიბლიოთეკა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის თავმოყრის ადგილას გაზგასამართი სადგურის მშენებლობა იგეგმებოდა. გარდა იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდებოდა ახალგაზრდების უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფას, აფერხებდა საუნივერსიტეტო სივრცის განვითარების შესაძლო პროექტებს, ასევე იგნორირებული იყო უახლოეს წარსულში გამოცხადებული არაერთი საინტერესო ინიციატივა, მათ შორის ახალგაზრდული ცენტრის, კვების ობიექტების მშენებლობაზე, რაც სტუდენტობისთვის განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მადლობას უხდის საქართველოს მთავრობას, თბილისის მერიას და ბიზნესის წარმომადგენლებს საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებისთვის.



ივლიტას ბიბლიოთეკა გურიაში

19 ივლისს, თბილისის სტიქიის დროს დაღუპული თსუ სტუდენტის ივლიტა ჯიბუტის დაბადების დღეს, ჩოხატაურში მისი სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნა. ბიბლიოთეკა მედიასახლ "გურია ნიუსისა" და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით და ახალგაზრდების ენთუზიაზმით გაკეთდა. „ივლიტას ბიბლიოთეკას", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა და თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი სტუმრობდნენ. „ივლიტას ბიბლიოთეკას" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის გამომცემლობის წიგნები საჩუქრად გადასცეს.

სიახლეები

1 ივლისს ლატვიის უნივერსიტეტის აკადემიურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის იანის სტრადინშისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი სამეცნიერო ჯილდოს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის გადაცემის საზეიმო ცერემონია. აღნიშნული მედალი აკადემიკოს იანის სტრადინშს მიენიჭა 2015 წლის 2 თებერვალს ქართველი მეცნიერების, მათ შორის თსუ-ში მოღვაწე მკვლევრების, სამეცნიერო კვლევების შედეგების ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისთვის.

* * *

9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი შიხაშვილმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე: „თეოლოგია და ეკონომიკა (ქრისტიანული პარადიგმა)". ლექცია თსუ რექტორის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის "პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან" ფარგლებში გაიმართა.

* * *

10 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლები სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს დაეხმარნენ. ფაკულტეტის წარმომადგენლებმა,სასტუმრო „აისბერგში" მცხოვრებ დაზარალებულ ოჯახებს წინასწარ შეთანხმებული, მათთვის საჭირო ნივთები გადასცეს.

* * *

16 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის ალექსანდრე წურწუმიას წიგნის "გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში (გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდი)" პრეზენტაცია გაიმართა.

* * *

17 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა რიგით მე-5 სტუდენტური კონფერენცია თემაზე „საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე გამოწვევები".

* * *

21 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მესამე სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

ვკითხულობთ რომანტიზმს

5 ივლისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე ჩატარდა საღამო „ვკითხულობთ რომანტიზმს (ფრანგული რომანტიზმი და ქართველი პოეტი ნ. ბარათაშვილი)".

საღამოს დაწყების წინ ბატონი ოთარ ზურაბიშვილმა საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოსა და თსუ-ს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში დაარსებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია გადასცა ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ორ საუკეთესო სტუდენტს: სალომე გაბელიას და ელენე დევნოზაშილს, რის შემდეგაც ფრანგული ფილოლოგიის სტუდენტებმა წარმოადგინეს პროექტ „ვკითხულობთ რომანტიზმს".

საღამოს ორგანიზატორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნანა გუნცაძე, საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი, თბილისში ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს წარმომადგენელი თამარ ღარიბაშვილი.

„ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი" თსუ-ში

პირველი გვერდიდან

წიეთ. ჟურნალის პირველ ნომერში წარმოდგენილია დოქტორანტების 6 სტატია, რომელმაც უკვე გაიარა, შიდა რეფერირება და გარე რეფერირებაზე გავიდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო მოვლენაა ახალგაზრდა მკვლევრად ჩამოყალიბებისთვის, ისინი იძენენ აკადემიურ კვლევით უნარ-ჩვევებს, რომელიც გამოადგებათ შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში", – აღნიშნა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ. „ჩვენი უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში. ამიტომ, ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც მოდის ახალგაზრდებისგან და რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო აქტიურობის გაზრდასთან, რა თქმა უნდა, მხარდაჭერილი იქნება უნივერსიტეტისგან. მიხარია, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ეს ინიციატივა გამოიჩინეს", – განაცხადა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

პირველ ნომერში წარმოდგენილი მასალები თავისი შინაარსით მართლაც მრავალფეროვანი და აქტუალურია. გამოქვეყნებულ მასალებს შორისაა:

- ტერიტორიული კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა: პოლიტიკური ელიტების მიზანი თუ საშუალება? ფოლკლენდის მაგალითი – ავტორი სოფიკო ალავერდაშვილი;
- განქორწინება ქართველ ახალგაზრდებში (18-დან 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში) – ავტორი თემურ გუგუშვილი;
- ინსტიტუციური დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკაში 2003-2012 წლებში აშშ-საქართველოს ურთიერთობის მაგალითზე – ავტორი სალომე მინესაშვილი;
- გენდერული სტერეოტიპები ქართულ საგელევიზიო რეკლამებში, ავტორი თამარ ნარინდოშვილი;
- უკრაინის კრიზისი ქართული საგელევიზიო მედიის ფოკუსში, ავტორი დავით ქუტიძე;
- მცირე ქვეყნებისთვის პიბრიდული საბრძოლო მოქმედებების განხორციელების მიზანშეწონილობა, ავტორი გიორგი ყალიჩავა.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი" მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო – კვლევითი და აკადემიური კომუნიკაციის უნარების განვითარება. „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი" ასევე ღიაა სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთათვის. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ. მასალების ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.jyr.tsu.ge

5 წელი „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის" დაწყებიდან

6 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის" დაწყებიდან 5 წლის საანგარიშო ღონისძიება გაიმართა. 2010 წლიდან ე.წ. „საშეღავათო პოლიტიკის" ფარგლებში, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღეს კვოტირების სისტემა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის. მშობლიურ ენაზე უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, არაქართულენოვანი აბიტურიენტები 1 წლის განმავლობაში ემზადებიან ქართულ ენაში და ენის სათანადოდ ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღების შემდეგ ირჩევენ მათთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამას, რომელზეც აგრძელებენ სწავლას.

2010 წლიდან დღემდე ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი გახდა ჩვენი 2500-ზე მეტი მოქალაქე. მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების პროგრამა გაიარა 1500-მდე სტუდენტმა.

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა საქართველოს უნივერსიტეტებში არაქართულენოვანი სტუდენტების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდაა.

მაგალითად, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2010 წელს ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 124-მა სომხურენოვანმა და 175-მა აზერბაიჯანულენოვანმა აბიტურიენტმა ჩააბარა, 2014 წლის მონაცემების მიხედვით კი, მათი რიცხვი 217 სომხურენოვან და 456 აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტამდე გაიზარდა.

ქართული ენის შესწავლის გარდა, არაქართულენოვანი სტუდენტები 1+4 პროგრამის ფარგლებში, ინტეგრირდებიან ქართულენოვან სტუდენტურ საზოგადოებაში, ეუფლებიან ამა თუ იმ პროფესიას და საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად ყალიბდებიან.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ ეს თარიღი საინტერესო ღონისძიებებით აღნიშნა: ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი პროგრამის მიღწევებისა და არსებული პრობლემების თაობაზე; მოხდა არაქართულენოვანი სტუდენტების გამოსვლები პროგრამის ავკარგიანობის შესახებ; სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ხელმძღვანელებმა შეკრებილ საზოგადოებას ჩაუბარეს ერთგვარი ანგარიში კონკრეტულ უნივერსიტეტებში მიმდინარე პროგრამების სპეციფიკის, წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ.

საგაფხულო სკოლა: „ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სტანდარტები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე"

16-19 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის და ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლობით ყვარელში, სასტუმრო „რიალ ბაგონში" (კახეთი, საქართველო) ჩატარდა საგაფხულო სკოლა: „ადამიანებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სტანდარტები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე".

საგაფხულო სკოლის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც სისხლის სამართლის, ისე ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში იქნა განხილული. მონაწილეებმა დეტალური ცოდნა შეიძინეს ევროპის საბჭოსა და გაეროს ფარგლებში შემუშავებული სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და მათი განხორციელების პრაქტიკული მექანიზმების შესახებ.

ღონისძიება ორგანიზებულია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში. მასში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები მონაწილეობდნენ. საგაფხულო სკოლის საგანმანათლებლო კომპონენტს გაუძღვნენ აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პროფესორები ირინე ქურდაძე და ქეთევან ხუციშვილი, მოწვეული ლექტორი, დოქტორი მარინა მესხი და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელი ქეთევან სარაჯიშვილი.

თსუ გეოგრაფები ტურისტებისათვის საინტერესო რუკაგე მუშაობენ

პირველი გვერდიდან

გეოგრაფები, იმის შესახებაც ცდილობენ ინფორმაციას მოპოვებას თუ რა გიპის წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეთ ტურისტებს მათთვის საინტერესო ობიექტთან მისასვლელად“.

გიორგი დვალაშვილის თქმით, მუნიციპალიტეტებში აქტიური გასვლების დაწყებამდე მათ წინასაწრი კამერული სამუშაოები ჩაატარეს. ის ადგილებიც სადაც სამუშაოების ჩატარებას გეგმავენ რუკაზე წინასწარ გაწერეს და შეარჩიეს. „ჯიპიესისი“ სამუალებით, მონაცემების მოპოვების თვალსაზრისით, გარკვეული სამუშაოების ჩატარება საკმაოდ გამარტივებულია. გარდა ამისა, უნივერსიტეტელ გეოგრაფებს საკმაოდ აქტიური თანამშრომლობა აქვთ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან, რომლებიც უნივერსიტეტელი გეოგრაფების საქმიანობაში აქტიურად იქნებიან ჩართული. ერთ-ერთი, ვის აქტიურობასაც გიორგი დვალაშვილი აღნიშნავს იმერეთის სამხარეო ადმინსტრაციის ტურიზმის განყოფილებაა. თავიდან რუკების მხოლოდ ქართული ვერსიის მომზადებაზე იყო საუბარი, ახლა რადგან ამის ტექნიკურ საშუალებას პროექტში ჩართული სტუდენტების შესაძლებლობაც იძლევა, რუკის ინგლისურ და სავარაუდოდ რუსულ ვერსიების მომზადებაც არის საუბარი. პროექტში ოფიციალურად გეოგრაფიის მიმართულების სხვადასხვა საფეხურის სამი სტუდენტია ჩართული. არაოფიციალურ მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა კი ბევრად მეტია.

ტურისტებისთვის საინტერესო ობიექტების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოძიებას გეოგრაფები ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით გეგმავენ.

პროექტი საბოლოო სახით წლის ბოლოსთვის უნდა იყოს მზად.

უნივერსიტეტის „ეკო დესპანები“

პირველი გვერდიდან

-12 ივლისის პერიოდში, „თსუ დესპანისა“ და „თსუ ეკო-კლუბის“ „ფეისბუკის“ და ვებ გვერდებზე განთავსებული შესაბამისი ფორმის შევსების მეშვეობით მიეცათ. გასაუბრების შედეგად შეირჩენენ „ეკო დესპანები“, რომელთაც „თსუ დესპანობის“ გამოცდილება უკვე აქვთ.

პროექტისთვის შერჩეულ სტუდენტებს სამი დღის განმავლობაში „თსუ ეკო კლუბისა“ და „საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლების, თსუ პროფესორ-მასწავლებლების მიერ შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგში გიორგი დვალაშვილის გარდა ჩართულები იყვნენ „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორი გიორგი გრიგოლაშვილი და „ეკო-კლუბის“ პრეზიდენტი ნიკა წითელაშვილი.

საკუთარი მისიის განხორციელება „ეკო დესპანებმა“ 20 ივლისიდან რეგიონებში გასვლით დაიწყეს. „სამიზნე“ რეგიონის შერჩევის მხრივ ისინი შეზღუდული არ ყოფილან. სტუდენტებს პროექტის განსახორციელებლად შეეძლოთ მშობლიური რეგიონი შეერჩიათ, ან ის რაიონი, სადაც პროექტის მიმდინარეობის პერიოდში დასასვენებლად აპირებდნენ წასვლას.

საკუთარი აქტივობის განსახორციელებლად „ეკო-დესპანებს“ ვადა 13 სექტემბრის ჩათვლით აქვთ. 27 სექტემბრის ჩათვლით კი მათ უკვე პროექტის ეგიდით ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა და, სურვილის შემთხვევაში, მოკლე ვიდეო რგოლი უნდა წარმოადგინონ. პროექტის ორგანიზატორები, სტუდენტების მიერ შეგროვებული ინფორმაციის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის მიწოდებასაც გეგმავენ.

იმის მიხედვით, თუ რა მასალის მოძიებას შეძლებენ „ეკო-დესპანები“ თავისი აქტივობის შედეგად, მიღებული მასალების პრეზენტაცია შესაძლოა კონფერენციაზე მოხდეს, ან რაიმე სახით გამოიცეს. პროექტის მონაწილეებისთვის შემაჯამებელი სახით სერტიფიკატის გადაცემა უკვე სექტემბრის ბოლოსთვის იგეგმება.

ცნობილი სახელმძღვანელოები უკვე ქართულ ენაზე

პირველი გვერდიდან

მეწარმეობის შესახებ დღეისათვის ევროპაში ყველაზე წარმატებული წიგნის – „გონება ამარცხებს კაპიტალს“ – ავტორი კი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, ლეგენდარული Teekampagne-ის დამფუძნებელი გიუნტერ ფალტინია.

ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე თარგმანის სამეცნიერო რედაქტორია თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი პროფესორი რევაზ გველესიანი, ხოლო წიგნის „გონება ამარცხებს კაპიტალს'' ქართულ ენაზე თარგმანის სამეცნიერო რედაქტორები არიან პროფესორი რევაზ გველესიანი და თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი.

9 ივნისს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მსოფლიოში ცნობილი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს „მიკროეკონომიკის თეორია: ძირითადი პრინციპები და გავრცობა” ქართულ ენაზე თარგმანის პრეზენტაცია.

სახელმძღვანელოს ქართულენოვანი თარგმანის სამეცნიერო რედაქტორია პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან ასოცირებული პროფესორები: ი. გაგნიძე, მ. ნაცვალაძე, ი. ნაცვლიშვილი, მ. ჩავლეიშვილი და დოქტორანტი ლ. ლაბაძე.

წიგნის ავტორია ცნობილი ეკონომისტი ვალტერ ნიკოლსონი, რომელმაც დოქტორის ხარისხი მოიპოვა მასაჩუსეტის უნივერსიტეტში და ამჟამად ემპერსტის კოლეჯის პროფესორია აშშ-ში. ხოლო თანააავტორია ქრისტოფერ სნაიდერი, დარტმუთის კოლეჯის პროფესორი. ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიან მაგისტრატურაში მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, მათ შორის კალიფორნიის, კოლორადოს, ჯორჯ ვაშინგტონის, ემ-აი-თის (MIT), კენტუკისა და დუკის უნივერსიტეტებში, დარტმუთის კოლეჯში (აშშ), ვარვიკის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი), ვილფრიდის უნივერსიტეტში (კანადა), ლონდონის ეკონომიკის სკოლაში (LSE), ჰონგკონგის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში და სხვ.

სახელმძღვანელოები გამოიცა თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას ინიციატივით მოქმედი სახელმძღვანელოების თარგმნის საუნივერსიტეტო პროექტის ფარგლებში და დაიბეჭდა თსუ სტამბაში.

„პეტრე მელიქიშვილი – უნივერსიტეტის პირველი რექტორი“

21 ივლისს გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ “თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ მომზადებული სერიის – “პუბლიცისტური ნარკვევების“ მეორე წიგნი – “პეტრე მელიქიშვილი – უნივერსიტეტის პირველი რექტორი“ , რომელიც მისი დაბადებიდან 165–ე წლისთავს მიეძღვნა. წიგნში საუბარია ერთ–ერთი ქართველი განმანათლებლის – პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მოძიებულია საარქივო მასალები, რომლებშიც ჩანს, თუ როგორი მნეობრივი მაგალითის მიმცემი იყო სტუდენტებისა და კოლეგებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი, იმ პრიოდში მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქართველი მეცნიერი, ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი. იგი იყო მეცნიერი და მოღვაწე, რომელსაც თანამედროვეობა უნდა უმადლოდეს ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის სრულყოფას, საქართველოში ქიმიის და აგროქიმიის მეცნიერების განვითარებას, ქიმიის მეცნიერული ტერმინოლოგის გადმოქართულებას და, რაც მთავარია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წელს მყარი სამეცნიერო და საგანმანათლებლო საფუძვლების შექმნას.მისი დამსახურებაა ისიც, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში არა ერთი ქართველი ქალი დაადგა მეცნიერების გზას. “პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობა თავისი პროგრესულობით დღესაც ინტერესს იწვევს. ამ პატარა კრებულში სწორედ ის აქცენტებია დასმული, რომლითაც ნათელი გახდება – ვინ ედგა ქართველ ინტელექტუალებს სათავეში და რა იყო იმ სიძლიერის საფუძველი, რომლითაც აგერ უკვე საუკუნეა დგას თბილისის უნივერსიტეტი, როგორც ნიშანსვეტი ქართული გენიისა,“ – ნათქვამია კრებულის წინასიტყვაობაში. კრებულის შემდგენელია გაზეთ “თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე (რედაქტორი ნინო კაკულია). კრებულის პირველი წიგნი – “კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“ – მიეძღვნა უნივერსიტეტის დამფუძნებელს – ივანე ჯავახიშვილს.

„ჯავახეთის 2014 წლის სტუდენტური ექსპედიციის“ ფოტოგამოფენა

29 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა „ჯავახეთის 2014 წლის სტუდენტური ექსპედიციის“ ფოტოგამოფენა. ღონისძიებას დაესწრნენ თსუ პროფესორები, სტუდენტები, საპატრიარქოს წარმომადგენლები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision“-ის წარმომადგენლები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 2014 წლის ექსპედიციის ამსახველი ფოტო-მასალა. 2014 წელს თსუ-ს სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ახალქალაქში გალავნის მშენებლობაში, რომელზეც სააღდგომო ღვთისმსახურებისას დაიდგა სამლოცველო კარავი. სტუდენტებმა ასევე დაასუფთავეს ახალქალაქში მდებარე უძველესი ციხეების მიმდებარე ტერიტორია, მეჩეთი, მოინახულეს ადილობრივი ღირსშესანიშნაობები, ეკლესია–მონასტრები და ადგილობრივ მოსახლოებასთან ერთად, გამართეს სპორტული და კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები. ფოტოგამოფენის გარდა, მოეწყო ჯავახეთის პირველი სტუდენტური ექსპედიციის ფილმის „ფარავანი 2001“-ის ჩვენება.

2001 წლიდან საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II -ის ლოცვა – კურთხევითა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადგომით, ყოველწლიურად 14 ივლისიდან 14 აგვისტომდე, ეწყობა ერთთვიანი საზაფხულო ექსპედიციები ჯავახეთში. ერთთვიან ექსპედიციებში სტუდენტები სხვადასხვა საქმიანობით არიან დაკავებულნი: მონაწილეობენ ადგილობრივი უძველესი ეკლესია-მონასრტრების აღდგენით სამუშაოებში, ეხმარებიან მართმადიდებლური ეკლესიის მსახურებს სამონასტრო საქმიანობაში, აწყობენ ექსკურსიებს, ეცნობიან სამცხე - ჯავახეთს და ამავე დროს სოფლის მოსახლეობასთან ერთად აწყობენ კულტურულ-გასართობ საღამოებს.

„ვკვდები როგორც ქვეყანა“ – თარგმანის პრეზენტაცია

30 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა თანამედროვე ბერძენი კლასიკოსი მწერლის, დიმიტრის დიმიტრიადისის საკულტო რომანის - “ვკვდები როგორც ქვეყანა“ ქართული თარგმანი. წიგნი გამოსცა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამამ “ლოგოსი“, ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით. დიმიტრიადისის რომანი ქართულ ენაზე თარგმნა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა თათია მთვარელიძემ.

ღონისძიება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა. დიმიტრიადისის „ვკვდები როგორც ქვეყანა“ ბოლო 30 წლის განმავლობაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს როგორც საბერძნეთში, ისე მთელ ევროპაში. ნაწარმოები და მისი თარგმანები უკვე ორი ათეული წელია, გაყიდვებისა და პოპულარობის თვალსაზრისით, ლიდერობს თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ნიმუშებს შორის. ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები კი, ასევე უდიდესი წარმატებით, იდგმება მსოფლიოს ცნობილი თეატრების სცენებზე.

წარმოდგენილი თარგმანი ტექსტის პირველი ქართული თარგმანია, რაც ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევს გაეცნოს თანამედროვე ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც საყოველთაო ისტორიული და კულტურულ-იდეოლოგიური პრობლემატიკის შიშვლად წარმოჩენის გამო, ზედმიწევნით შეესაბამება და ასახავს ბოლო ათწლეულების ქართულ რეალობასაც.

აღნიშნული თარგმანის მიხედვით ცნობილი ბერძენი რეჟისორი მიხეილ მარმარინოსი ქართულ ენაზე დადგამს სპექტაკლს “ვკვდები როგორც ქვეყანა“. სპექტაკლმა დიდი წარმატება და გამოხმაურება ჰპოვა მთელ ევროპაში და დღემდე რეჟისორის საუკეთესო ქმნილებად ითვლება. დიმიტრის დიმიტრიადისის “ვკვდები როგორც ქვეყანა“ მოგვითხრობს ამბავს ეპოქისა, რომელსაც “საშოს შუა საუკუნეები“ ეწოდა. ესაა ეპოქა მრავალწლიანი ომებისა, როდესაც საომარ აგონიაში მყოფი ქვეყნის ჯარისკაცები შიშსა და სასოწარკვეთას მისცემიან, როდესაც ხალხს ერთადერთ ხსნად მტრის ჯარის შემოსვლაღა ესახება, როდესაც ეკლესიის ერთადერთ მიზანს აქამდე არსებულთა საპირისპირო, პერვერსიული ღირებულებების დამკვიდრება წარმოადგენს, როდესაც კრიმინალს ოფიციალურად იცავს კანონი, როდესაც კაცს დაუკარგავს ძირითადი – გამრავლების ფუნქცია და შესაბამისად, ქალები წლების განმავლობაში ვეღარ შობენ ბავშვებს. ესაა ამბავი ერის სიკვდილისა, არა იმდენად ფიზიკური, რამდენადაც სულიერი სიკვდილისა. დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობის შეგნებაში ყველა ადამიანური ღირებულების სიკვდილი და თავად ადამიანის ღირებულების სიკვდილი უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სიკვდილი, თუნდაც იყოს ეს ქვეყნის მსოფლიო გეოპოლიტიკური რუკიდან გაქრობა. ამ საყოველთაო და ქაოტურ სიკვდილში კი ერთეული, მომაკვდავი ადამიანების ხმა არავის ესმის, თუმცაღა მას სიტყვა-სიტყვით თანხვდება ქალად ქცეული ქვეყნის გოდება, ქვეყნისა, რომელსაც აღარ ძალუძს დასაბამი მისცეს ახალ სიცოცხლეს, ქვეყნისა რომლის სული და სხეული თანაღროულ სიკვდილს მოუცავს. – ესაა მოკლე მონახაზი დიმიტრიადისის რომანისა “ვკვდები როგორც ქვეყანა”, რომელიც პირველად 1979 წელს გამოქვეყნდა, ანუ მაშინ, როდესაც თანამედროვე ბერძნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება სულ ახალი დაწყებული იყო და დიქტატორულ რეჟიმს თავდაღწეული ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ჯერ კიდევ დღის წესრიგში იდგა. ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულების მაჩვენებლია ისიც, რომ რომანი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე უფრო წაკითხვად და პოპულარულ თანამედროვე ბერძნულ ტექსტად წარმოგვიდგება, მის საფუძველზე შექმნილი სპექტაკლები კი ბოლო 20 წლის განმავლობაში დიდი წარმატებთა და გამოხმაურებით იდგმება სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ თეატრალურ სცენებზე.

კონკურსის „თაობა L“ გამარჯვებული ცნობილია

მიმდინარე თვეში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურულ-შემეცნებითი კონკურსის „თაობა L“ გამარჯვებულის ვინაობა გახდა ცნობილი. გამარჯვებულმა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ინგა ანთიძემ გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ დაწესებული მთავარი პრიზი - 1000 ლარი მიიღო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გამომცემლობის სპეციალური პრიზებით პროექტის ყველა ფინალისტი დაჯილდოვდა. „ძალიან საინტერესო პროექტია „თაობა L“, რადგანაც ის ხელს უწყობს სტუდენტების მიერ მეტი მხატვრული ლიტერატურის კითხვას, პროექტი საშუალებას აძლევთ გაიაზრონ და თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბონ ამა თუ იმ კლასიკოსის ნაწარმოებზე. კონკურსი გამომცემლობა „პალიტრა L“-თან ერთად უკვე მეორე წელია ხორციელდება საკმაოდ წარმატებულად, სტუდენტების მხრიდან დიდი დაინტერესებაა და ჩვენი უნივერსიტეტის ამოცანაა, ეს პროექტი გაგრძელდეს მომავალშიც“,- განაცხადა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. „დღეს დასრულდა „თაობა L“-ის კონკურსი, რომელშიც თავდაპირველად 1200-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. გამომცემლობამ „პალიტრა L“ გამარჯვებულს საჩუქრად 1000 ლარიანი ვაუჩერი გადასცა, დანარჩენ სხვა 9 ფინალისტს კი წიგნები. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ თანამშრომლობას თსუ-სთან და ვიქნებით ამ პროექტის პარტნიორები“ – აღნიშნა გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მარკეტინგის მენეჯერმა სოფო საყევარაშვილმა. დაჯილდოების შემდეგ გიორგი კეკელიძის საჯარო ლექცია „გზა“ გაიმართა, რომელიც წიგნიერების მნიშვნელობას მიეძღვნა. „მე მგონია, რომ ეს არიას ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი სხვადასხვა თვალსაზრისით. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია უშუალოდ წიგნიერების პოპულარიზაციის კუთხით და ასევე სტუდენტების წახალისებასაც გულისხმობს. ჩემი ლექცია გარკვეულწილად უკავშირდება იმ წიგნებს, რომლების წარმოდგენილი იყო ამ კონკურსზე, მთავარი თემა კი ითვალისწინებს გზის ფენომენს ლიტერატურაში“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ. შემეცნებითი პროექტი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის 23 აპრილს დაიწყო და ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. კონკურსანტები რამდენიმე დღის ინტერვალით პროექტისათვის შერჩეულ წიგნებს კითხულობდნენ და შემდეგ მათთვის მომზადებულ ტესტებს წერდნენ. საერთო რეიტინგში ყველაზე მაღალი – 10 ქულის მქონე კონკურსანტები ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ. პროექტის ორგანიზატორებმა სხვადასხვა ჟანრის და სტილის წიგნები შეარჩიეს:1. დეიდა ტულა (მიგელ დე უნამუნო) 2. დიდი გეტსბი (ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი) 3. მაკულატურა (ჩარლზ ბუკოვსკი) 4. მექანიკური ფორთოხალი (ენტონი ბერჯესი) 5. მობი დიკი (ჰერმან მელვილი) 6. ოსტენდელი მეოცნებე (ერიკ ემანუელ შმიტი) 7. ცხოველების ფერმა (ჯორჯ ორუელი) 8. ფირმა (ჯონ გრიშემი) 9. ძაღლის გული (მიხაილ ბულგაკოვი) 10. ბაბუაწვერას ღვინო (რეი ბრედბერი) პროექტის თითოეულ ეტაპზე გამოვლინდა ტურის ლიდერი, რომელიც სამახსოვრო საჩუქრებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდა, კონკურსის ფარგლებში ჩატარდა 8 ონლაინ ვიქტორინა, რომლის გამარჯვებულებიც პრიზებს და დამატებით 2 ქულას იღებდნენ. პროექტის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით და მას უნივერსიტეტი და გამომცემლობა „პალიტრა L““ უკვე მეორე წელია ერთობლივად ახორციელებენ. პროექტის მიზანია ახალგაზრდების წიგნიერების ხელშეწყობა და კონკურსის ფორმით სტუდენტებისთვის მეტი მხატვრული ლიტერატურის შეთავაზება.

„უნივერსიტეტი“ გამარჯვებულთან ინგა ანთიძესთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– როგორც ვიცით უკვე მეორე წელია იღებთ მონაწილეობას პროექტში, როგორი იყო წლევანდელი პროექტი შარშანდელთან შედარებით და როგორი იყო გზა გამარჯვებამდე?

– ფორმატსა და შინაარსში განსხვავებები მაინცდამაინც არ ყოფილა, თუმცა ზოგადად გარკვეული სხვაობა, რა თქმა უნდა, იყო. თუნდაც ის, რომ წელს უფრო მეტი სტუდენტი მონაწილეობდა კონკურსში.

თუმცა „მობი დიკმა“ ბევრი შეაშინა და შესაბამისად, მეხუთე ტურის შემდეგ საკმაოდ ცოტანი დავრჩით. მინდა აღვნიშნო, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, წელს გამოკვეთილი ლიდერი არ გვყოლია და საკმაოდ მაღალი კონკურენცია იყო. ასევე, ონლაინ ვიქტორინის გამარჯვებულებს შარშან, რამდენადაც მახსოვს, არ ასაჩუქრებდნენ, წელს კი ეს შეიცვალა. კიდევ ერთი დეტალი გამახსენდა, რომელიც პირველივე ტურის შემდეგ აღვნიშნე - წელს ჩარჩოში ჩასმული სერთიფიკატებით დაჯილდოვდით. რაც შეეხება ფინალამდე გმას, კონკურსის დასაწყისში ძალიან მოტივირებული ვიყავი, რამდენჯერმე ტურის ლიდერი და ონლაინ ვიქტორინის გამარჯვებულიც გავხდი, თუმცა სამწუხაროდ, მომდევნო ტურებში ასეთივე კარგ შედეგს ვეღარ ვაჩვენებდი, რადგან გამოცდები და იმიტირებული პროცესებიც იგივე დროს დამემთხვა და ცოტა გამიჭირდა.

– რა მოგიგანათ გამარჯვებამ? მიიღეთ თუ არა კუთვნილი თანხა პარტნიორი კომპანიისგან და, თუ საიდუმლო არ არის, როგორ განკარგეთ ის?

– პირველი, რაც მახსენდება – ბანალურად ჟღერს, მაგრამ თვითშეფასება ამიმაღლდა. ფინალის დღეს მეგობართან ერთად ვიყავი პირველი კორპუსის ემოში და დაჯილდოებაზე მისვლაზეც კი ვყოყმანობდი, იმდენად დარწმუნებული ვიყავი, რომ ცუდად ვწერე. კონკურსის ერთ-ერთმა მონაწილემ ელენემ მითხრა, სამაგიეროდ მაგ მოულოდნელობის გამო ძალიან გულწრფელი რეაქცია გქონდაო. თანხა ჯერ არ მიმიღია და რაში დავხარჯავ ალბათ შემდეგ მოვიფიქრებ, თუმცა გარკვეული ნაწილი წიგნებზე აუცილებლად დაიხარჯება.

– რომელი წიგნი მოგეწონათ ყველაზე მეტად წლევანდელი სიიდან? რატომ?

– რამდენადაც ვიცი, ჩემს აზრს სხვა ფინალისტებიც იზიარებენ და ყველაზე მეტად ფინალურმა წიგნმა, ბრედბერის „ბაბუაწვერას ღვინომ“ მოგვხიბლა. ამაზე უკეთ პროექტს ალბათ ვერ დაამთავრებდნენ. ამ წიგნზე ყველაზე მეტად დამწყდა გული, რომ დეტალებზე უნდა გამემახვილებინა ყურადღება და ერთი ამოსუნთქვით ვერ წავიკითხავდი. ბრედბერი აქამდეც მიყვარდა, მაგრამ ფანტასტიკის ჟანრის გარეშე ვერ წარმომედგინა, მაგრამ ამ წიგნით სასიამოვნოდ გამაკვირვა. აი რამდენიმე დღის წინ წავიკითხე ასეთი ფრაზა, ზუსტ ციტირებას ვერ მოვახდენ, თუმცა დაახლოებით ასე ჟღერდა: მაგარებლის გაჩერებაზე მოსვლასთან დაკავშირებული რაღაც პატარა ნაწილი ადამიანს სამხრეთული ბავშვობის ნოსტალგიას აგრძნობინებს, მაშინაც კი, თუ მას ასეთი ბავშვობა არ ჰქონიაო. ზუსტად იგივეს ვგრძნობდი ამ წიგნზე. მეგონა, რომ მეც გადამხდენია დაგლასის და ტომის მსგავსი თავგადასავლები. როგორც ბაბუაწვერას ღვინო ტოვებს პირზე ბაფხულის გემოს, ასეა ეს წიგნიც. გამორიცხულია, კითხულობდე და ყველა ბავშვობის და ზაფხულის მოგონება შენს თვალწინ არ ცოცხლდებოდეს.

– თავად რომ გქონდეთ პროექტგისათის წიგნების შერჩევის საშუალება, რომელ სამ წიგნს დაასახელებდით და რატომ?

– ვინაიდან ამ პროექტს „პალიტრა“ აგარებს, მათ წიგნებს დაგისახელებთ. რადგან ბუკოვსკის შავ იუმორზე ყველამ ბევრი ვიცინეთ, ვონეგუტის „გალაპაგოსს“ შემოვიტანდი. სიცილის რა გითხრათ, თუმცა შავი იუმორის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. ასევე, როგორც შევნიშნე, სტუდენტებს ბრედბერი ძალიან უყვართ და მარსის ქრონიკებს შემოვიტანდი, თუ რა თქმა უნდა, მომავალ წლამდე თარგმნიან. ამას გარდა, აუცილებლად დავამატებდი დიუმას რაიმეს, რადგან მე პირადად კითხვა დიუმათი დავიწყე და შემიყვარდა. თან ალბათ ყველას წაკითხული ექნება, დიდი რაოდენობის გამოც არავინ იწუწუნებს და მელვილის მსგავსად შუა ტურიდანაც არ გამოგვეთიშებიან.

– რა სიხშირით კითხულობთ ზოგადად და რა ჟანრის ლიტერატურას?

– შეიძლება ყოველდღე თითო წიგნი ვერ წავიკითხო, მაგრამ რაღაცას ყოველდღიურად ვკითხულობ. პროცესებზეც ამ პროექტის წიგნებით რომ დავდიოდი, უკვე ბავშვები დამცინოდნენ, რით ვერ დაიღალეო. ჟანრს რაც შეეხება, არ მაქვს გამორჩეულად საყვარელი ჟანრი, რომანსაც და სამეცნიერო ფანტასტიკასაც ერთნაირი სიამოვნებით წავიკითხავ. ამასთან დაკავშირებითაც მეხუმრებიან ხოლმე მეგობრები, ამ ბიოგრაფიებს მაინც რა გაკითხესო.

– აპირებთ თუ არა მიიღოთ მონაწილეობა პროექტში მომავალ წელს? რას ურჩევდით მათ, ვინც მიიღებს მონაწილეობას? (თუ შეძლებთ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მიეცით მკითხველს, როგორ წაიკითხოს წიგნი, რა ნაწილს მიაქციოს ყურადღება)

– მომავალ წელსაც დიდი სიამოვნებით მივიღებ პროექტში მონაწილეობას. მონაწილეობის მსურველებს ვურჩევდი, რომ მზად იყვნენ დეტალების დამახსოვრების ჩვევასთან შესაგუებლად, რომელსაც პროექტის დასრულების შემდეგაც ვერ მოიშორებენ. რაც შეეხება პრაქტიკულ რჩევებს, პირადად მე ყოველი აბზაცის წაკითხვის შემდეგ ვაანალიზებ, რა კითხვა შეიძლება მოვიდეს იქიდან და იმის მიხედვით შემდეგ თითოეულ დეტალს რვეულში ვიწერ. არ ვხუმრობ, მართლა ამდენად დაწვრილებით ვკითხულობდით ყველა და ჩემი გავსებული ასფურცლიანი რვეულებიც შემიძლია გაჩვენოთ. თუ რაიმე ერთმანეთში მერეოდა, ასოციაციურ მეხსიერებას ვიყენებდი და სხვა ნაცნობ სიტყვებს ვუკავშირებდი.